



საქართველოს მთავრობის ბანკარგულება

№407 2013 წლის 2 მაისი ქ.თბილისი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ

1. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 11 დეკემბრის №1987 განკარგულებისა და საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №172 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს გამოუყოს 12 332 250 (თორმეტი მილიონ სამას ოცდათორმეტი ათას ორას ორმოცდაათი) ლარი, მათ შორის:

- ა) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წყალტუბო-ხონის საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის - 4 455 000 (ოთხი მილიონ ოთხას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი;
- ბ) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ხობი-საჯიჯაო-ლესიჭინეს საავტომობილო გზის ცალკეული დაზიანებული მონაკვეთების

რეაბილიტაციისათვის - 3 345 000 (სამი მილიონ სამას ორმოცდახუთ ათასი) ლარი;

გ) შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის ზარზმა-ადიგენის მონაკვეთის რეაბილიტაციისათვის - 2 350 000 (ორი მილიონ სამას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

დ) ჯვარი(ჯვარზენი)-ჩქვალერი-საჩინოს საავტომობილო გზის რეაბილიტაციისათვის - 2 000 000 (ორი მილიონი) ლარი;

ე) ამ პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ობიექტების საზედამხედველო მომსახურების ხარჯებისათვის - 182 250 (ას ოთხმოცდაორი ათას ორას ორმოცდაათი) ლარი.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა 2013 წელს უზრუნველყოს ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

პრემიერ-მინისტრი



ბიძინა ივანიშვილი